


## მეორე გამოცემა

# ვინ განსაზღვრავს ცივი ომის უმდგომი მსოფლიოს დღის წესრიგს ?

*ჩინეთის გავლენის  
ოპერაციები სექსრთვედოს  
აკადემიურ სივრცეში:  
პოსტ-კოვიდური რეაქობა*



# ვინ განსაზღვრავს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს დღის წესრიგს ?

ჩინეთის გავლენის  
ოპერაციები საქართველოს  
აკადემიურ სივრცეში:  
პოსტ-კოვიდური რეალობა

მეორე გამოცემა

ავტორები  
თინათინ ხიდაშელი  
ანი კინწურაშვილი

თანამშრომლობით



ანგარიში მომზადებულია  
"სამოქალაქო იდეის" მიერ



**CEIAS**  
Central European Institute  
of Asian Studies

დონორების ფინანსური მხარდაჭერით



წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს მისი ავტორების და ორგანიზაცია სამოქალაქო იდეას საკუთრებას და გამოსატავს მათ პოზიციას და მათ მიერ მოძიებულ ფაქტებზე დაყრდნობით მომზადებულ ანალიზს. შესაბამისად, აუცილებლად არ გამოხატავს დონორი ორგანიზაციების პოზიციასა და მოსაზრებებს.

## სარჩევი


---

შესავალი .....	3
რა შეცვალა პანდემიამ? .....	4
კონფუციის ინსტიტუტები - საქართველოში ჩსრ-ის იდეოლოგიური იარაღი	6
სასტიპენდიო პროგრამები, როგორც ჩსრ-ის რბილი ძალის ნაწილი.....	12
საქართველოს ჩინური ენის დიპლომატია.....	17
კვლევის და საგანმანათლებლო ხასიათის სხვა ინიციატივები .....	20
ჩინეთის კომუნისტური პარტიის გავლენის ბერკეტები საზღვარგარეთის აკადემიურ ინსტიტუტებში .....	22

## შესავალი

„სამოქალაქო იდეა“ აგრძელებს საქართველოში, და სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ჩინეთის გავლენის ოპერაციების კვლევასა და ანალიზს. 2020 წელს, ჩვენ გამოვაქვეყნეთ ჩვენი პირველი ანგარიში: „**ვინ განსაზღვრავს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს დღის წესრიგს? ჩინეთის გავლენის ოპერაციები აკადემიაში, მედიასა და არასამთავრობო სექტორში: საქართველოს მაგალითი**“.

ანგარიში წარმოადგენს საქართველოს მაგალითის სრულ მიმოხილვას, თუმცა მასში ასევე იხილავთ სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებს მსგავსი პრაქტიკის შესადარებლად. წინამდებარე ნაშრომი არის მეორე გამოცემა - მსგავსი მახასიათებლებით. ნაშრომი განიხილავს საქართველო-ჩინეთის თანამშრომლობას აკადემიურ სექტორში, ანუ თანამშრომლობას სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და აკადემიურ პროგრამებს შორის, სასტიპენდიო პროგრამებს და ა.შ. ასევე ანალიზებს კოვიდ-პანდემიით მიღებულ რეალობას, და მის შედეგებს.



ჩვენ მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა კვლევების გარდა, „სამოქალაქო იდეა“ ასევე მონაწილეობდა სლოვაკეთის არასამთავრობო ორგანიზაცია CEIAS-ს მიერ ინიცირებულ რეგიონულ კვლევაში. CEIAS არის კვლევითი ინსტიტუტი, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ცენტრალური ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან ურთიერთობის ანალიზი. ზემოაღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა ცენტრალური ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის, მათ შორის საქართველოს, აკადემიური ინსტიტუტების ჩინურ სუბიექტებთან ურთიერთობების ფარგლების დადგენასა და ანალიზს. კვლევა ხელმისაწვდომი იქნება 2022 წლის ზაფხულში.

## რა შეცვალა პანდემიამ?

---

კოვიდ-19 პანდემიის დაწყებამ მსოფლიო მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა თუ მიმართულებას მოიცავდა და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ან საავადმყოფოებისა და მედიკამენტების საკითხებით. ბევრი პროექტი, შეხვედრა, ინიციატივა თუ ადამიანთა შორის უშუალო კონტაქტი ან შეწყდა და გაუქმდა, ან გადავიდა კიბერ სივრცეში. ჯანდაცვის სფეროს შემდეგ პანდემიის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი განათლების სისტემა აღმოჩნდა. სკოლები, კოლეჯები და უნივერსიტეტები ჯერ დაიხურა, შემდეგ კი ონლაინ რეჟიმში სწავლებაზე გადავიდა. მგზავრობასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა შეცვალა პრაქტიკულად ყველა გაცვლითი პროგრამის ხასიათი და სტატუსი, იქნებოდა ეს სტანდარტული საგანმანათლებლო ხარისხის პროგრამები, მოკლევადიანი კვლევები, მეცნიერთა ან მკვლევართა გაცვლითი პროგრამები თუ გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებული სხვა მოკლე თუ გრძელვადიანი პროექტები.

გამონაკლისი არც ჩინეთის უნივერსიტეტების ან მთავრობის მიერ ინიცირებული აკადემიური პროგრამები იყო. ჩვენმა მკითხველმა, „სამოქალაქო იდეის“ 2020 წლის ანგარიშიდან შეიტყო, რომ ჩინურ-ქართული საგანმანათლებლო პროგრამები და ორმხრივი თანამშრომლობა წლიდან წლამდე ძლიერდებოდა, რაც ხელს უწყობდა ჩინეთის გავლენის ზრდას საქართველოს აკადემიურ სექტორში. ეს ტენდენცია იზრდებოდა და გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების რაოდენობა კიდევ უფრო მეტი პერსპექტივებისა და მოლოდინების განცდას აჩენდა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის, გრძელვადიანი ლოკდაუნის, მგზავრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, სოციალური დისტანცირებისა და სხვა მსგავსი რეგულაციების გამო, ბევრი სასტიპენდიო და სასწავლო პროგრამა ან შეჩერდა ან ვირტუალურ სამყაროში გადაინაცვლა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო განაგრძობდა დინამიურ თანამშრომლობას ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციებთან და მრავლობითი საგანმანათლებლო პროდუქტების მიმწოდებელ სახელმწიფო უწყებებთან, რამაც გამოიწვია კიდევ გარკვეული პროგრესი ამ სფეროში.

ასეთი შთაბეჭდილება მხოლოდ „სამოქალაქო იდეას“ არ დარჩენია. ამ მოსაზრებას მხარს ასევე უჭერს **ჩინეთის ელჩი საქართველოში** ლი იანი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს როგორც საქართველოს მთავრობასთან, ასევე პარლამენტთან. მისი შეხვედრები და საუბრები საქართველოს მთავრობის წევრებთან, როგორც წესი, ეხება არა მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ, არამედ საგანმანათლებლო საკითხებსაც. ამ საუბრების შედეგი გამოიხატება პეკინის ხელგაშლილობაში ქართველი სტუდენტებისთვის სახელმწიფო სტიპენდიების მინიჭებისთვის, რათა მათ შეისწავლონ არა მხოლოდ პროფესიული მიმართულებები, არამედ ჩინური ენა, ისტორია და კულტურა, აგრეთვე ჩინური ენის ცენტრების, როგორც საქართველოში პეკინის იდეოლოგიური იარაღის, დაფინანსებაში. ამ საკითხს ქვემოთ, ცალკე და უფრო დეტალურად განვიხილავთ. ჩინეთის ელჩის მიერ Forbes-ისთვის მიცემულ **ინტერვიუში** აცხადებს „მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ ორ ქვეყანას შორის მიმოსვლაზე გარკვეული ზეგავლენა იქონია, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის და სხვა სფეროებში კარგ ურთიერთობებს ვინარჩუნებთ და თანამშრომლობის პროექტები შეუფერხებლად ხორციელდება“. ჩინეთის საელჩოს კიდევ ერთ **განცხადებაში** კი აღნიშნულია, რომ ისინი აქტიურად მუშაობენ ქართულ მხარესთან განათლებისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთობების გაღრმავების მიზნით. კიდევ უფრო საინტერესო იყო მისი განცხადების ერთი მონაკვეთი „ტელევიზიაში, ახალ ამბებსა და გამომცემლობაში“ თანამშრომლობის შესახებ:

**„ დღეს ჩინეთსა და საქართველოს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობა აქტიურად მიმდინარეობს. ლიტერატურული და სამხატვრო დასები ხშირად ახორციელებენ ურთიერთვიზიტებს. თანამშრომლობა განათლების, მეცნიერების, სპორტის, კინოსა და ტელევიზიის, ახალი ამბების, გამომცემლობის და სხვა სფეროებში უწყვეტად ღრმავდება“.**

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად იმ გართულებებისა, რაც პანდემიამ გამოიწვია ორივე ქვეყნისთვის (საქართველოსა და ჩინეთისთვის), ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიოსთვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ჩსრ) არ აპირებს საქართველოს მიტოვებას და განაგრძობს ინვესტიციურებას

რბილი ძალის ღონისძიებებში სხვადასხვა სფეროში, მათ შორის აკადემიურ სექტორსა და ზოგადი განათლების სფეროებში.

ანგარიშის პირველი ნაწილი შეეხება ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქმიანობასთან საქართველოს აკადემიურ და მედია სექტორებში. ის წარმოადგენს ჩვენი წინა კვლევების განახლებულ ვერსიას და მიზნად ისახავს გააშუქოს ორ ქვეყანას შორის განხორციელებული და დაგეგმილი საგანმანათლებლო პარტნიორობის პროექტები, რეგულაციებით დამძიმებულ პანდემიის წლებში. ანგარიშის მეორე ნაწილი აჯამებს ჩინეთის მავნე ზეგავლენის ბოლოდროინდელ შემთხვევებს აკადემიურ სექტორში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ცენზურის, მოსყიდვისა და ჯაშუშობის მცდელობებს, დასავლური დემოკრატიების სისუსტეებს, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მიმდინარე ტენდენციებს, ასევე შეეხება დამოუკიდებელ უნივერსიტეტებს, და ჩინეთისა და დასავლეთის საგანმანათლებლო თანამშრომლობის შედეგებს.

## კონფუცის ინსტიტუტები - საქართველოში ჩინეთის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური იარაღი

---

როგორც ჩვენს წინა ანგარიშში უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში მომუშავე სამი კონფუცის ინსტიტუტი<sup>1</sup> საქართველოსა და მისი საგანმანათლებლო სექტორის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან მიღებული მრავალმხრივი საგანმანათლებლო სიკეთეების მიღების სასიცოცხლო მნიშვნელობის საყრდენს წარმოადგენს. კონფუცის ინსტიტუტები, რომლებიც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, როგორც წესი, შენიღბულია ჩინური კულტურისა და ენის ცენტრების ქვეშ, სინამდვილეში კი ისინი პეკინის პოლიტიკურ ინტერესებს ატარებენ.

---

<sup>1</sup> საქართველოში ჩინეთის მზარდი აკადემიური და სამოქალაქო საზოგადოების სფეროში გავლენის, კონფუცის ინსტიტუტებისა და საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური და კულტურული განვითარების ცენტრის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: [civicidea.ge/ვინ-განსაზღვრავს-ცივი-ომ/](http://civicidea.ge/ვინ-განსაზღვრავს-ცივი-ომ/)

საფრანგეთის სამხედრო სკოლის სტრატეგიული კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ანალიზის მიხედვით, კონფუცის ინსტიტუტები შესანიშნავად ენისა და კულტურული ცენტრების სტატუსს იყენებენ და ემსახურებიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის (ჩკპ) საგარეო პოლიტიკის ფართო მიზნებს, აკადემიური თავისუფლების შელახვისა და კიბერჯაშუშობის ხელშეწყობის გზით. თუმცა, მაშინ, როდესაც ბოლო წლებში, დასავლეთის უმეტეს სახელმწიფოებში ჩკპ-ის ეს ეფექტური იდეოლოგიური იარაღი გამოაშკარავდა და მათი დახურვა ან საქმიანობის შეზღუდვა აქტიურ ფაზაშია, ქართულმა უმაღლესმა აკადემიურმა დაწესებულებებმა სწორედ პირიქით, მათი გაფართოება დაიწყეს, რაც ფაქტებით დასტურდება. პანდემიამ გარკვეულწილად, მართლაც შეაყოვნა ის პროგრესი, რომლის მოლოდინიც არსებობდა 2019 წელს, და მაინც, სირთულეების მიუხედავად, გვპირდებიან, რომ კონფუცის მეოთხე ინსტიტუტი მალე დაემატება საქართველოში არსებულ სამ კონფუცის ინსტიტუტს. ჩინეთის საერთაშორისო განათლების ფონდისა<sup>2</sup> და სინძიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მხარ-



წყარო: ქუთაისის უნივერსიტეტის ფეისბუქის ოფიციალური გვერდი (UNIK), <https://bit.ly/3vcObuV>

დაჭერით, 2020 წელს ქუთაისის უნივერსიტეტში მეოთხე კონფუცის ცენტრის გახსნა იყო დაგეგმილი. ეს უკანასკნელი, ასევე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის კონფუცის კლასებზე. პროცესი შეჩერდა, თუმცა 2021 წლის სექტემბრის შეხვედრაზე, რომელიც ფოტოსურათებზე კარგად არის აღბეჭდილი, მხარეებს შორის მოხდა შეთანხმება პროცესის სწრაფ განახლებაზე.

<sup>2</sup> „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ფონდი (CIEF), ტექნიკურად, დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც რეგისტრირებულია სამოქალაქო საქმეთა სამინისტროში, რომელსაც ზედამხედველობს განათლების სამინისტრო და დაარსებულია 27 ჩინური უნივერსიტეტის, კომპანიისა და სოციალური ორგანიზაციის მიერ, მართავს კონფუცის ინსტიტუტების ბრენდს და პროგრამას.“

<https://www.brookings.edu/articles/its-time-for-a-new-policy-on-confucius-institutes/> ოფიციალური ვებგვერდი <https://www.cief.org.cn/sy>



დანარჩენი სამი კონფუცის ინსტიტუტი დაარსებულია თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში (2010), თბილისის ღია უნივერსიტეტში (2017) და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ფუნქციონირებს არაოფიციალური სახელწოდებით 2017 წლიდან).

ოფიციალურად მოქმედი კონფუცის ინსტიტუტების გარდა, სხვა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები ასევე აქტიურად ნერგავენ კონფუცის კლასებსა და სტიპენდიებს. მაგალითად, 2018 წლიდან, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან აფილირებულმა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა (SANGU), ჩინეთის ლანჯოუს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, სასწავლო პროგრამაში ჩართო კონფუცის კლასები და კონფუცის სტიპენდიები იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლობენ. ყოველწლიურად, სტუდენტებს, რომლებიც ამთავრებენ ზემოხსენებულ ფაკულტეტს, ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ სტიპენდიები და განაგრძონ სწავლა ჩინეთის ქალაქ ლანჯოუსში. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში SANGU-ს სტუდენტები სისტემატიურად იგებენ აღნიშნულ სტიპენდიებს; პანდემიის გამო, პროგრამა ონლაინ რეჟიმში გადავიდა.

ჩვენ არც კი მოვიყვანდით ამ მაგალითს, რომ არა ავსტრალიის სტრატეგიული პოლიტიკის ინსტიტუტის კვლევა და (ASPI) საუნივერსიტეტო ტრეკერის სისტემა,<sup>3</sup> რომლის მიხედვითაც ლანჯოუს უნივერსიტეტი უსაფრთხოებისთვის რისკების მატარებელია თავდაცვის თემების კვლევებში მზარდი ჩართულობის გამო. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება ჩინურ თავდაცვის კომპანიებთან და

---

<sup>3</sup> ჩინეთის თავდაცვის უნივერსიტეტების ტრეკერი არის ავსტრალიის სტრატეგიული პოლიტიკის ინსტიტუტის საერთაშორისო კიბერპოლიტიკის ცენტრის (ASPI) მიერ შემუშავებული ჩინეთის იმ დაწესებულებების სპეციალურ მონაცემთა ბაზა, რომლებიც ჩართული არიან სამხედრო ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კვლევებში. ტრეკერი პირველად 2019 წლის ნოემბერში ამოქმედდა, პოლიტიკის ანგარიშთან ერთად. შემდეგ, ტრეკერი განახლდა 2021 წლის მაისში. ეს განახლება - აქ დეტალურადაა ახსნილი - მოიცავს 15 ახალი სამოქალაქო უნივერსიტეტის დამატებულ სიას და არსებული უნივერსიტეტების მონაცემების განახლებებს. ტრეკერი ამჟამად მოიცავს ჩანაწერებს 100-მდე სამოქალაქო უნივერსიტეტზე, სახალხო განმათავისუფლებელი არმიის 50 ინსტიტუტზე, ჩინეთის ბირთვული იარაღის პროგრამაზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტროს სამ ინსტიტუტზე, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ოთხ უნივერსიტეტსა და 12 სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ თავდაცვის ინდუსტრიის კონგლომერატზე.

უწყებებთან და ჩართულია შემდეგი სფეროების კვლევაში: "ბირთვული მეცნიერება, ელექტრომაგნეტიზმი, ზონდები, ქიმია, მექანიკა, მასალის მეცნიერება, ფარული ტექნოლოგია და საინფორმაციო ტექნოლოგია". შეიძლება ვივარაუდოთ, რომ SANGU-ს მჭიდრო კავშირმა აღნიშნულ უნივერსიტეტთან, პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება გამოიწვიოს მისი ჩართულობა ისეთ კვლევით პროექტში, რომლითაც შესაძლოა საფრთხე შეექმნას საქართველოს სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას. როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირი, SANGU დაარსდა 2008 წლის 12 ოქტომბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფილირებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიასთან. რეიტინგებში მცირედი კლების ტენდენციის მიუხედავად, მართლმადიდებლური საპატრიარქოს გავლენა საქართველოში დღემდე მაღალია. ამას მოწმობენ IRI-ის ყოველწლიური გამოკითხვები, რომელთა მიხედვითაც ეკლესიის რეიტინგი 85%-ზე მაღალია, და გამოკითხულთა 85%-ზე მეტი დადებითად აფასებს მის საქმიანობას. როგორც ჩანს, პეკინის სურვილი, დაამყაროს კავშირები ამ კონკრეტულ უნივერსიტეტთან, შემთხვევითი არ არის და შეიძლება ჩაითვალოს მცდელობად [სწორედ ამ გზით] კავშირი ქონდეს მართლმადიდებელ ეკლესიასთან, როგორც ქვეყანაში ყველაზე სანდო და გავლენიან ინსტიტუტს.

„სამოქალაქო იდეამ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან გამოითხოვა ინფორმაცია (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული პირი) კონფუცის ინსტიტუტისა და ქართულ-ჩინური ეკონომიკური და კულტურული განვითარების ცენტრის სამართლებრივი სტატუსის შესახებ, რომელთა მფლობელებიც საქართველოში საექვო რეპუტაციის მქონე ბიზნეს ელიტის წარმომადგენლები არიან<sup>4</sup>. ჩვენ განათლების სამინისტროს ამ უწყებას ასევე გავუგზავნეთ დეტალური კითხვარი ჩინეთის აკადემიური ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსების შესახებ და მოვითხოვეთ

---

<sup>4</sup> ქართულ-ჩინური ეკონომიკური და კულტურული განვითარების ცენტრი არის საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის (GCFA) დამფუძნებელი ორგანიზაცია და მას ხელმძღვანელობს ივანე ჩხარტიშვილი, უადრესად საკამათო რეპუტაციის მქონე ქართველი ბიზნესმენი, ყოფილი ვიცე პრემიერი და საქართველოს ჩრდილოვანი ლიდერის, ბ-ნი ივანიშვილის უახლოესი მოკავშირე. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ „ვიზუალური კვლევა I: უცხოური გავლენის შედარება საქართველოში“: <https://europeanvalues.cz/en/mapping-research-comparing-foreign-influence-in-georgia/>

ინფორმაცია მათი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების აკრედიტაციის წესებთან და პროცედურებთან შესაბამისობის შესახებ.




როგორც მოთხოვნაზე პასუხიდან შევითვით, რომელიც თანდართულ სურათზეა წარმოდგენილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ არც ერთი ის ორგანიზაცია, რომელთა შესახებაც მონაცემებს ვითხოვდით, არც ავტორიზებული ყოფილა და არც მათი სასწავლო გეგმა დამტკიცებული არ ყოფილა. ეს პასუხი ნიშნავს, რომ აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოს რომელიმე სახელმწიფო უწყების კონტროლს ან რეგულირებას არ ექვემდებარება. შესაბამისად, განათლების სამინისტრო ადასტურებს, რომ ვერ არეგულირებს, შესაბამება თუ არა ჩინური ცენტრების საგანმანათლებლო პროგრამები იმ ზოგად აკადემიურ სტანდარტებს, რომლებიც ჩვეულებრივ საჭიროა ქვეყანაში, ნებისმიერი საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად.

საქართველოს კანონმდებლობით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კომპეტენცია ვრცელდება სამი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაზე:

**ზოგადი — პროფესიული — უმაღლესი განათლება**

თუ დაწესებულება რომელიმე ზემოაღნიშნულ ტიპს არ მიეკუთვნება, მაშინ ის არ ექვევა ცენტრის ზედამხედველობის ქვეშ, რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებულება არ ექვემდებარება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, მას შეუძლია შეიმუშაოს სასწავლო გეგმა და განსაზღვროს სწავლების მიზნები და მეთოდები განათლების სამინისტროსგან დამოუკიდებლად.

სასწავლო ცენტრები, მათ შორის კონფუციის ან ენის შემსწავლელ სხვა ცენტრები, განათლების სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ არ იმყოფება. ნებისმიერ კერძო პირს, თუკი აქვს საკმარისი რესურსები, მათ შორის ფინანსური, შეუძლია დაიწყოს და განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა უნივერსიტეტებში, იმ შემთხვევაშიც თუ ეს არ შეესაბამებოდა სკოლის, პროფესიული კოლეჯის, უნივერსიტეტის აკადემიურ სტანდარტებს ან ფორმატს. მათ არ სჭირდებათ განათლების სამინისტროს ნებართვა/ლიცენზია/ავტორიზაცია ან აკრედიტაცია.

 **ამიტომ არც კონფუციის ინსტიტუტს და არც ჩინური ენის/კულტურის სხვა კურსებს განათლების სამინისტრო არ აკონტროლებს.**

უფრო მეტიც, კონფუციის ინსტიტუტი არც საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში იძებნება, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მას საერთოდ არ აქვს იურიდიული სტატუსი, გარდა იმისა, რომ ეს ინსტიტუტი დადასტურებულად არსებობს უნივერსიტეტთან ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, და საქმიანობს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დონეზე.

**მუხლი 13. კონფუციის ინსტიტუტი**

1. კონფუციის ინსტიტუტის ფუნქციაა ჩინური ენისა და კულტურის გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის;
2. ინსტიტუტი ახორციელებს ჩინური ენის სხვადასხვა დონის შემსწავლელი პროგრამების მიწოდებას დაინტერესებული კონტიგენტისათვის;
3. ჩინური ენისა და კულტურის გავრცელების მიზნით გეგმავს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებს;
4. ორგანიზებას უწევს ჩინური დელეგაციების ვიზიტებს და შეხვედრებს;
5. ჩინური ენის შესწავლის მიზნით კოორდინირებს უწევს სტუდენტების შერჩევას ჩინეთში სასწავლებლად გაგზავნის მიზნით;
6. მჭიდროდ თანამშრომლობს ჩინეთის უნივერსიტეტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ამ მოსაზრებას უფრო მეტად ამყარებს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულება, რომელიც ერთადერთი საჯაროდ ხელმისაწვდომი ამ ტიპის დოკუმენტია<sup>5</sup>. წესდება, სხვა საუნივერსიტეტო ერთეულებთან ერთად, ადასტურებს კონფუციის ინსტიტუტის არსებობას თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, ასევე განსაზღვრავს მის მიზნებსა და ფუნქციებს.

## სასტიპენდიო პროგრამები, როგორც ჩსრ-ის რბილი ძალის ინსტრუმენტი

---


ჩინეთის კომუნისტური პარტიის გავლენის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, მთელ მსოფლიოში, გაცვლითი და სახელმწიფო სტიპენდიების პროგრამების გავრცელებაა და ამ მხრივ, არც ქართული უნივერსიტეტებია გამონაკლისი. სწორედ ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მსგავსი ინიციატივები არ შეჩერებულა პანდემიის დროსაც. პირველ რიგში, გავიხსენოთ ამ ინიციატივების დასაწყისი. 2001 წლის 13 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან ხელი მოაწერა განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს. თანამშრომლობის დოკუმენტის მიხედვით, 20 ქართველ სტუდენტს დაფინანსება ეძლევა ჩინეთის, ხოლო 20 ჩინელ სტუდენტს - საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან „სამოქალაქო იდეის“ მიერ გამოთხოვილ ინფორმაციაშია აღნიშნული, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ქართველ სტუდენტებს სთავაზობს ჩინური ენის ერთწლიან კურსს და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, რომლებიც ერთ წელზე მეტ ხანს გრძელდება. ჩინეთის სახელმწიფო სტიპენდიის ძირითადი ბენეფიციარები არიან თბილისის სახელმწიფო

---

<sup>5</sup> წყარო: <http://freeuni.edu.ge/sites/default/files/SEDF.pdf>

უნივერსიტეტის (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი), თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი) და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (SANGU) (საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი) სტუდენტები. საწყის კვოტასთან ერთად 2019-2022 წლებში, ჩსრ-ამ 33 ახალი სტიპენდია გამოიყო დამატებით. **2022 წლის** სტიპენდიის პროგრამებზე განაცხადების შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების და მსგავსი დისციპლინების ფაკულტეტის სტუდენტები ჩინეთში სწავლას განაგრძობენ სამთავრობო სტიპენდიებით.



საგარეო ურთიერთობებისა და მშენებლობის სამინისტრო  
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 8 22 0000117280

07/02/2022

**შეცვლილი**  
თ. ფოსტა:

**ქალბატონი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს წერილთან (სამინისტროში რეგისტრაციის №9691/ 24.01.2022) დაცემიერებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად, ვაცნობებით, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩინეთის მთავრობასთან ხელმოწერილი პეტს შერევი საერთაშორისო დოკუმენტები:

- 2001 წლის 13 აპრილს ხელი მოეწერა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შორის განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შესახებ შეთანხმების დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს 20 ერთობლივ სტუდენტს დაფინანსებას ჩინეთის ფულადსა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და 20 ჩინელი სტუდენტის დაფინანსებას საქართველოს ფულადსა საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

პეტს ვაცნობებით, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოველწლიურად ებმის გამოყოფა 20 სტუპენდიის, ამასთან განსაკუთრებულად, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქართველოს მოქალაქე სტუდენტების სივარძლის რიცხვი ჩინეთის ენის უნივერსიტეტის სასწავლო კურსს ასევე სამინისტროს და საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილებაში, რომელიც ხანგრძლივად ვერ წაეღო მტკიცე შესაბამისად, სტუდენტის რაოდენობა ყოველწლიურად განსაზღვრულია. ამდენად, 2019-2022 წლებში გამოიყო 33 ახალი სტიპენდია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://mes.gov.ge/dimitri-uznaza>, [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge)) გერეგულბული ინფორმაციის შესაბამისად იღებს ჩინეთის სტიპენდიის მოიჭების მსურველთა განცხადებებს და ჩინეთის

0102 ქობულაძის გამზირი უზნაძის ქ. 52  
52 Dimitri Uznaza str. Tbilisi 0102, Georgia, [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge)  
ტელ./tel.:(+995 32)2.200.220

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოქალაქეებისთვის ჩინეთის სტიპენდიის მოიჭების მსურველთა განცხადებების მიზნით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე სტუდენტების სივარძლის რიცხვი ჩინეთის ენის უნივერსიტეტის სასწავლო კურსს ასევე სამინისტროს და საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილებაში, რომელიც ხანგრძლივად ვერ წაეღო მტკიცე შესაბამისად, სტუდენტის რაოდენობა ყოველწლიურად განსაზღვრულია. ამდენად, 2019-2022 წლებში გამოიყო 33 ახალი სტიპენდია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://mes.gov.ge/dimitri-uznaza>, [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge)) გერეგულბული ინფორმაციის შესაბამისად იღებს ჩინეთის სტიპენდიის მოიჭების მსურველთა განცხადებებს და ჩინეთის


**მატიყვიყვილი,**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ურთიერთობებზე პასუხისმგებელი საგარეო მისამართზე

ადმინისტრაციის  
საერთაშორისო ურთიერთობების  
მრავალი კატეგორიის უფროსი საცდიალბოტო  
ლომბაძე ნათია

*E. Uznaza*

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ამგვარი ინიციატივები როგორც წესი უფრო შორსმიმავალ მიზნებს ემსახურება. როგორც ჩვენს პირველ ანგარიშშიც ვწერდით, ზოგიერთ სტუდენტს, რომელიც აღნიშნული გრანტების მეშვეობით გააგრძელებს სწავლას ჩსრ-ში და გაეცნობა მათ სახელმწიფო იდეოლოგიას, ხედვასა და ნარატივებს და ამით მადლიერი დარჩება, შეეძლება მომავალში თანამდებობა დაიკავოს ბიზნესის ან სამთავრობო სექტორში და სხვადასხვა გზით გავლენა მოახდინოს სახელმწიფო მმართველობაზე.



უფრო მეტიც, პეკინის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (BIT), რომელიც, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან (GTU) თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში მოქმედებს, ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალიან აქტიური იყო. მან გამოაცხადა მიღება ჩინეთის მთავრობის სტიპენდიის პროგრამაზე (CSC) 2021/22 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. 2020 წლის დასაწყისში, BIT-მ წამოიწყო მსგავსი სასტიპენდიო პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის. CSC სტიპენდია მოიცავს სწავლის საფასურს, კამპუსში კამპუსს გარეთ განთავსებას, სრულ სამედიცინო დაზღვევას და ყოველთვიურ სტიპენდიას. ჩვენს აუდიტორიას კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ მაღალი რისკები, რომელიც ASPI-ს საუნივერსიტეტო ტრეკერის მიხედვით უკავშირდება მრავალრიცხოვან თავდაცვის კვლევის სფეროში მის მასიურ ჩართულობას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩინურ უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებით პირველ ადგილზეა, მის მსგავს ინსტიტუტებს შორის. BIT-ის გარდა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს თანამშრომლობის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული კიდევ სამ სხვა უნივერსიტეტთან:

გუიჯოუს უნივერსიტეტი

ზეუიანგ ვალნის  
უნივერსიტეტი

ტიანჯინის მეცნიერებისა და  
ტექნოლოგიის უნივერსიტეტი

მემორანდუმი გაფორმებულია 2017 წელს

მემორანდუმი გაფორმებულია 2016 წელს

მემორანდუმი გაფორმებულია 2016 წელს

კიდევ ერთი ინიციატივა ეკუთვნის რენმინის უნივერსიტეტს. 2022 წელს, ის განსაკუთრებით ხელგაშლილია ახალგაზრდა ქართველებისთვის განკუთვნილი სტიპენდიების თვალსაზრისით. მათსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ქართველი სტუდენტებისთვის დაფინანსდება თანამედროვე ჩინური კვლევების სამაგისტრო პროგრამა. აღნიშნული პროგრამა ყოველწლიურად ტარდება და აერთიანებს 4 სპეციალიზაციას: ჩინეთის პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი და კულტურა. ASPI მიხედვით ეს უკანასკნელი უსაფრთხოებისთვის დაბალი რისკის შემცველია.

მთავრობის მიერ დაფინანსებული სახელმწიფოთაშორისი სტიპენდიების გარდა, არსებობს სხვა წყაროები, რომლითაც ჩინეთი ცდილობს მოიზიდოს ქართველი სტუდენტები, ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიო. 2021 წელს, საერთაშორისოდ ხელმისაწვდომი შვარცმანის სტიპენდიის ფარგლებში, ცინგხუას უნივერსიტეტმა შესთავაზა ქართველ სტუდენტებს ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამების სტიპენდიები საჯარო მმართველობაში, ეკონომიკაში, ბიზნესსა და საერთაშორისო მეცნიერებებში. ცინგხუას უნივერსიტეტმა სახელი გაითქვა თავდაცვასთან დაკავშირებულ კვლევებში შეტანილი წვლილითა და კიბერშეტევებში მონაწილეობით. ASPI-მ ამხილა ცინგხუას უნივერსიტეტი უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკების გამო, რადგანაც ის ჩართულია იმ კვლევებსა და ინიციატივებში, რომლებიც შეეხება ხელოვნურ ინტელექტს, სარაკეტო იარაღებს, სანავიგაციო ტექნოლოგიებს, ხელსაწყოთმშენებლობას და ბირთვულ იარაღთან დაკავშირებულ პროგრამებს. მეტიც, აღნიშნული ჩინური უნივერსიტეტი არის სკანდალური რეპუტაციის მქონე ჩინური კომპანიის, Nuctech-ის მფლობელი, რომელსაც ბრალად ედება კორუფცია და თაღლითური საქმიანობა მთელი მსოფლიოს



მასშტაბით და შეყვანილია სხვადასხვა დასავლური დემოკრატიული ინსტიტუტების შავ სიაში. “სამოქალაქო იდეას” ცალკე კვლევა აქვს გამოქვეყნებული Nuctech-ის საქართველოში საქმიანობის შესახებ და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს ჩვენს ვებ გვერდზე<sup>6</sup>. ცინგხუას უნივერსიტეტს ასევე მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან - ვანკეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, უარყოფითი რეპუტაციით ცნობილი ჩინური უნივერსიტეტი ქართველ სტუდენტებს სთავაზობს ჩსრ-ის მთავრობის დაფინანსებას ჩინეთში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთწლიანი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამისთვის. ანალოგიურად სხვა ჩინური სასტიპენდიო პროგრამებისა, ეს უკანასკნელიც ფარავს არა მხოლოდ განათლების, არამედ მოგზაურობისა და კამპუსში ცხოვრების ხარჯებს.

იუნესკო, ჩინეთის მთავრობასთან ერთად ასევე აფინანსებს საერთაშორისო სასტიპენდიო პროგრამას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოაცხადა. სტიპენდია მოიცავს ჩინეთის 34 პროვინციაში, 300-ზე მეტ უნივერსიტეტში როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტების სწავლას. საქართველო პროგრამის მონაწილეოა. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოები, ისევე როგორც ჩრდილოეთ ამერიკა, ამ სტიპენდიის პროგრამაში არ მონაწილეობენ.

ჩინეთის ვაჭრობის სამინისტრომ წარმოადგინა კიდევ ერთი საერთაშორისო სტიპენდია, რომელიც 2022 წლისთვის ხელმისაწვდომია ქართველი სტუდენტებისთვის. ვაჭრობის სამინისტროს სტიპენდია უზრუნველყოფს გრძელ-ვადიან ფინანსურ მხარდაჭერას ჩინეთში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის. სტუდენტებს, როლებმაც ჩინური ენა არ იციან, ისინი სთავაზობენ ენის მოსამზადებელ კურსებს სწავლის დაწყებამდე 1 ან 2 წლით ადრე. მიუხედავად იმისა, რომ ჩინური ენის არცოდნა არ წარმოადგენს ბარიერს ჩინეთის მთავრობისთვის

---

<sup>6</sup> მეტი ინფორმაციისთვის Nuctech-ის, მისი საერთაშორისო სკანდალებისა და უდირსი ქცევის შესახებ საქართველოში, იხილეთ Civic IDEA-ს მე-6 ჩინეთის ანგარიში: <https://rb.gy/b4xeax>

საერთაშორისო სტუდენტების მოსაზრებებზე, ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩნდება, თუკი სტუდენტები მათ ენაზე საუბრობენ.

## საქართველოს ჩინური ენის დიპლომატია

---

ბოლო წლებში, ჩინური ენის პოპულარიზაცია საქართველოში საგრძნობლად გააქტიურებულია, როგორც სახელმწიფო, ისე საუნივერსიტეტო დონეზე. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქართველ სინოლოგებს. ამ მხრივ გამორჩეულია თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის დირექტორის ქალბატონი მარინე ჯიბლაძის წვლილი. იგი 2018 წლიდან დაინიშნა ჩინური ენის ექსპერტად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში. 2019 წელს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან ერთად, მან დაიწყო ჩინური ენის ქართულად ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის ნორმებზე მუშაობა. მისი ძალისხმევა საქართველოში ჩინური ენის პოპულარიზაციისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა და 2016 წელს, მას გადაეცა ჩინეთის მთავრობის ჯილდო განსაკუთრებული წვლილისთვის. მისი ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება სცილდება ჩინური ენის სწავლას და პოპულარიზაციას. ქალბატონი მარინე, ასევე მუშაობს საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე, ახმოვანებს ჩკპ-ს და ჩინეთის საელჩოს ნარატივებს ჩსრ-საქართველოს თანამშრომლობისა და ჩინეთის „ნამდვილი მეგობარია გაჭირვების დროს“ ნარატივების ფარგლებში. ის ასევე მკაცრად გმობს ჩინეთის სახალხო რეპუბლიკის მიმართ ნებისმიერ კრიტიკას, რომელსაც ის „ამორალურს და სამარცხვინოს“ უწოდებს.

განათლების სამინისტროში მუშაობისას მარინე ჯიბლაძემ შეიმუშავა ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურებისთვის. „სამოქალაქო იდეამ“ საქართველოს სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს საშუალო სკოლებში ჩინური ენის სწავლების შესახებ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით მივიღეთ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) პირველი უცხო ენა არის ინგლისური და ისწავლება I-XII კლასებში;
- ბ) მეორე უცხო ენა ისწავლება V-XII კლასებში;
- გ) მესამე უცხო ენა, როგორც არჩევითი საგანი, ისწავლება X-XII კლასებში.



ამდენად, ქართულ სკოლებში ჩინური ენა, ისევე როგორც სხვა ენები, შესაძლებელია ისწავლებოდეს, როგორც მეორე უცხო ენა.

სამთავრობო უწყებები, კონფუციის ინსტიტუტთან ერთად, ხელს უწყობენ ამ პროცესს ჩინელი მოხალისე მასწავლებლების მონაწილეობით.

კერძოდ, განათლების სამინისტრო გვაცხობინებს, რომ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და ჩინეთის კონფუციის ინსტიტუტს შორის გაკრძობილია მემორანდუმით, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამა - „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“, ახორციელებს შემდეგ საქმიან-ობას:

**შეჯამება**  
**კლასიკონი**  
 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს წერილთან (სამინისტროში რეგისტრაციის N815085; 24.09.2021) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი აღმოსავლურ კოლეჯის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-49 მუხლებს, შესაბამისად კონსტრუქციის ფარგლებს განვიხილეთ. რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 2016 წლის 18 მაისის N4408 მოსახელთა დამატებითი უცხოელები სასწავლო გეგმის მიხედვით:  
 ა) პირველი უცხოელები ენა არის ინგლისური ენა და იწავლება I-XII კლასებში;  
 ბ) მეორე უცხოელები ენა იწავლება V-XII კლასებში;  
 გ) მესამე უცხოელები ენა, როგორც არჩევითი საგანი, იწავლება X-XII კლასებში.  
 ამასთანავე სკოლის უფლებს აქვს მასწავლებლებს შორეულ უცხოელებს ენად ნებისმიერი სხვა ენები შესთავაზოს, რაც უნდა განიხილდეს სასკოლო სასწავლო გეგმის ამდგენად. საქართველოს სკოლებში ჩინური ენა ისევე როგორც სხვა ენები შესაძლებელია იწავლებოდეს როგორც მეორე უცხოელები ენა V კლასიდან მშობლებისა და მასწავლებლების მოთხოვნისა და სკოლის ადმინისტრაციის (საგნის მასწავლებლის) გამოვლინებით. აქვე გაცხობით, რომ 2013 წლიდან სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და ჩინეთის კონფუციის ინსტიტუტს შორის გაკრძობილია მემორანდუმის ფარგლებში, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამა - „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ იხორციელებს შემდეგ პროგრამის მიხედვით მასწავლებლების მოზარდ და განვლილმა თბილისის საჯარო და კერძო სკოლებში ჩინური ენის ისევე როგორც სხვა ენების შესაძლებელია უზრუნველყოფა. ჩინეთის კონფუციის ინსტიტუტი უზრუნველყოფს მოხალისე მასწავლებლების ჩამოყვანას, შესრულებული პანდემიის პირობებში და ასევე საერთაშორისო სარეგულაციო მართვის საკვლევო პროექტის დასრულების შემდეგ, ჩინური ენის მოხალისე მასწავლებლები ზემოხსენებული მემორანდუმის ფარგლებში, ატარებენ ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის წიგნებს სსიპში.

0102 ქობულაძის, გიმიტრა უჩინაძის ქ. 52  
 52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge  
 ტელ./Tel.:(+995 32) 2 200 220

ასევე გაცხობით, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველწლიურად გამოცემულ 20 სტიპენდიის და სტიპენდიანტთა შერჩევის ხდება წლიო მთავრობის საფუძველზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საქართველოს მიმართულებით სტიპენდიის სივრცის რაოდენობა ჩინური ენის ერთწლიან სასწავლო კურსს, ასევე სანიმუშო და სპორტით სავსე სასწავლო პროგრამებს, რომელიც პანდემიის გამო ერთ წელიწადში შეესაბამება, სტიპენდიის რაოდენობა ყოველწლიურად გაზრდილია. ამდენად, 2019-2021 სასწავლო წლის დეკემბრის 21-ისთვის სტიპენდიანტები.  
 აქვე გაცხობით, რომ ჩინური ენა იწავლება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შსა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტში, ასევე ახალი პირველადი უნივერსიტეტის ქართულ უნივერსიტეტში.

**პატივისცემით,**  
 საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უწყველყოფის  
 მასწავლებელი საჯარო მოსამსახურე  
 ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)  
 საქმიანობების სამსახურის დირექტორი  
 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი  
 შათა ლომიძე  
 ხ. ლომიძე

- ჩინელი მოხალისე მასწავლებლების მიღება და განაწილება თბილისის საჯარო და კერძო სკოლებში;
  - ჩინელი მოხალისე მასწავლებლების ჯანმრთელობის დაზღვევის უზრუნველყოფა.
- ჩინეთის კონფუციის ინსტიტუტი ფარავს:

- მოხალისე მასწავლებლების დაქირავებას და მგზავრობის ხარჯებს;
- გაწეული სამუშაოს ანაზღაურებას;
- ჩინელი მასწავლებლების საქართველოში განსახლების ხარჯებს.

სამწუხაროდ სამინისტრომ არ მოგვაწოდა იმ კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომლებმაც თავიანთ სასწავლო გეგმაში მეორე უცხო ენად ჩინური ენა შეიტანეს, ამიტომ ვერ მოხერხდა მიმდინარე საქმიანობის გადამოწმება კონკრეტულ სკოლებში.

2021 წელს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩინური ენის დანერგვის პროგრამა, რომელიც შეფერხებით დაიწყო პანდემიის გამო, კიდევ ერთხელ განცხადდა. ივნისში, ჩსრ-ის კონტროლირებად მედიაში, „China Daily Global“ გამოქვეყნდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან აფილირებული ჩინეთის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, ბატონი ჯემალ ფუტკარაძის **სტატია**. „ერთი სარტყელი, ერთი გზა ინიციატივის“ ფარგლებში ჩინეთ-საქართველოს პარტნიორობის დადებითი შედეგების შესახებ მსჯელობის შემდეგ, მან განათლების სამინისტროს მიმართა სკოლებში ჩინური ენის გაკვეთილების დაწყების თხოვნით. მანხაიში მისი ვიზიტის შედეგად ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 2018 წელს ხელი მოაწერა **ურთიერთგაგების მემორანდუმს** ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიასთან (CASS). მემორანდუმის ფარგლებში სტუ-ში დაარსდა ჩინეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

სტუ-ს გარდა, 2021 წლიდან ჩინური ენა შეტანილია **თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის** სოციალურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამაში. სტუდენტები სწავლობენ ჩინურს, როგორც ძირითადი პროგრამის სასწავლო გეგმის მიღმა არსებულ დამატებით საგანს. საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმაც შეიტანა ჩინური ენა **საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაში**. ჩინური ასევე ისწავლება იმ უნივერსიტეტებში, სადაც ფუნქციონირებს კონფუცის კლასები.

# კვლევები და საგანმანათლებლო ხასიათის სხვა ინიციატივები

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და ჩინეთის უნივერსიტეტების მანცდამინც ბევრი ერთობლივი კვლევითი პროექტი არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა, ყურადღებას იმსახურებს შემთხვევა რომელიც დაკავშირებული ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან (BNTU), რომელმაც ხელი მოაწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს **თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან**. 2021 წელს, ბათუმის ნავიგაციის



სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითმა პროექტმა სახელწოდებით „მეზღაურთათვის გამოყენებითი ფსიქოლოგიის პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნა“ გაიმარჯვა კვლევითი პროექტების

კონკურსში საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის (IAMU) გენერალურ ასამბლეაზე (AGA21). BNTU განხორციელებს ზემოხსენებულ პროექტს ისეთ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, როგორცაა დალიან-ის საზღვაო უნივერსიტეტი, ჩინეთში და ლუბლიანას უნივერსიტეტი, სლო-ვენიაში. როგორც BNTU-ს ოფიციალურ FB გვერდზეა აღნიშნული, პრო-ექტის მიზანია:

**„პარტნიორი დაწესებულებებისა და საზღვაო კანონების, დარგობრივი ფსიქოლოგიისა და უშუალოდ საზღვაო საქმის სპეციალისტების ერთიანი ძალისხმევით, ჩატარდეს სხვადასხვა ეროვნების რაც შეიძლება მეტი მეზღაურის გამოკითხვა მიზნობრივი კითხვარების გამოყენებით, შეჯამდეს კითხვარების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი საჭიროებები; კვლევის მეორე, დასკვნით ეტაპზე, მათზე დაყრდნობით, შემუშავდეს მეზღაურთა**

**ფსიქოლოგიური მომზადების სასწავლო კურსი, რომელიც მიმართული იქნება საზღვაო დარგის წარმომადგენელთა ფსიქოლოგიური სტაბილურობის ამაღლებასა და საოკეანო ნაოსნობაში, დამოუკიდებლად, მდგრადობისა შენარჩუნებისა და თვითკონტროლის ცოდნისა და პრაქტიკული უნარის ჩამოყალიბებაზე. პროექტის საბოლოო მიზანს შეადგენს სასწავლო კურსის შესაბამისი სრულყოფილი ლექციების კრებულის ან/და სახელმძღვანელოს გამოცემა.“**

პროექტის შედეგი განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რადგან ავსტრალიური საუნივერსიტეტო ტრეკერის თანახმად, ჩინეთის დალიანის საზღვაო უნივერსიტეტი უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკების მატარებელია ჩინეთის ისეთ სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გამო, როგორებიცაა ტრანსპორტისა და განათლების სამინისტროები, თავდაცვის სააგენტო SASTIND, ჩინეთის ოკეანის ადმინისტრაცია, ადგილობრივი მუნიციპალური მთავრობები და ჩინეთის სამხედრო კომისია. ის ჩართულია ზემოაღნიშნული სამთავრობო სტრუქტურების პროგრამებში და აწარმოებს კვლევებს შემდეგ სფეროებში: ნავიგაცია, საზღვაო ტრანსპორტირება, გემების დაზვერვა, ენერჯის დაზოგვის ტექნოლოგია, საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემები და ა.შ. აქედან გამომდინარე, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი შესაძლებელია მისგამნ დამოუკიდებლად გახდეს ისეთი კვლევების მონაწილე, რომელიც ემსახურება ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიზნებს და წინააღმდეგობაშია საქართველოს უსაფრთხოების ინტერსებთან.

დალიანის საზღვაო უნივერსიტეტი არ არის ერთადერთი ჩინური აკადემიური ორგანიზაცია, რომელთანაც BNTU-სთან თანამშრომლობს. 2019 წლის სექტემბრიდან იგი გახდა საერთაშორისო საზღვაო ლექტორთა ასოციაციის (IMLA) წევრი, რის შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ინიციატივებში, ტრენინგ კურსებსა და კონფერენციებში. ორგანიზაციას მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ჩინეთის მთავრობასთან. მაგალითად, IMLA-ს 2012 წლის ბიულეტენის მიხედვით, ორგანიზაცია, მუნიციპალური მთავრობის სახსრებით გეგმავდა საკუთარი ოფისის დაარსებას შანხაიში. უფრო მეტიც, მისი მოქმედი პრეზიდენტი, ჟინ ონგსინგი შანხაის საზღვაო უნივერსიტეტის საბჭოს თავმჯდომარეა.

შანხაის საზღვაო უნივერსიტეტი კი სახელმწიფო უნივერსიტეტია, რომელიც დააარსა ჩინეთის კომუნიკაციების სამინისტრომ 1959 წელს და ამჟამად მოიცავს 16 სამინისტრო და სამხარეო კვლევით დაწესებულებასა და ლაბორატორიას. აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ გამოძიება მიმდინარეობს და ინტერესის ობიექტები არიან უნივერსიტეტის პროფესორები, ასპირანტები და კურსდამთავრებულები, რომლებიც ახლა ლექციებს კითხულობენ ჩსრ-ის სხვადასხვა უნივერსიტეტში და ჩართულნი არიან სხვადასხვა კვლევით ინიციატივაში. მათ ბრალი ედებათ უსაფრთხოების, საინფორმაციო საინჟინრო საქმესა და სატელიტური მაუწყებლობის სისტემებთან დაკავშირებულ პლაგიატში.


როგორც ვხედავთ, მიუხედავად შეფერხებებისა, პანდემიამ ხელი ვერ შეუშალა ჩინეთ-საქართველოს უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობების განვითარებას. უფრო მეტიც, არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, შესაძლოა ამ ურთიერთობების შემდგომი გაფართოების მოწმენი გავხდეთ. ასევე ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს რომ მათი ერთობლივი კვლევითი და სხვა აკადემიური ინიციატივები, შეიძლება შეიცავდნენ რისკებს უსაფრთხოებისთვის და, შესაბამისად, შეიძლება საფრთხე შეუქმნან საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას. თუმცა არსებული საკანონმდებლო რეგულაციის პირობებში, როდესაც არ არსებობს კონტროლისა და მსგავსი თანამშრომლობის ფორმატების უსაფრთხოების ფილტრში გატარების სამართლებრივი საშუალება რთული სათქმელია თუ რა ხარისხისა და მასშტაბის საფრთხესთან შეიძლება გვეკონდეს საქმე.

## აკადემიურ ინსტიტუტებში ჩინეთის კომუნისტური პარტიის გავლენის ბერკეტები, საერთაშორისო გამოცდილება

---

დღესდღეობით არა მხოლოდ საქართველო, არამედ მსოფლიოს დემოკრატიები დგანან დიდი გამოწვევების წინაშე, რომლებიც მათ აკადემიურ სექტორებში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ჰიბრიდულ ჩარევასთან არის დაკავშირებული. მსოფლიოს მრავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვერ უმკლავდება მათი ინტელექტუალური დამოუკიდებლობის

